



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 119

ქ. თბილისი

3 აგვისტო 2018წ.

„2018 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 2 აპრილის № 38 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის № 62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (№ 966093, 31.07.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

- შევიდეს ცვლილება „2018 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2018 წლის 2 აპრილის № 38 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ 1-ში „2018 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის პირობები“ და მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - კონკურსის განრიგი და ვადები
 - 2 აპრილი - კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
 - 18 აპრილი, 3 მაისი, 16 მაისი - ჯგუფური კონსულტაციები;
 - 18 მაისი - შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;
 - 30 აპრილიდან 25 მაისის 16:00 სთ.მდე - პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;
 - 28 მაისის 16:00 სთ.-მდე - ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადის შემოტანის ბოლო ვადა;
 - ივნისი - ტექნიკური ექსპერტიზა - რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

იენისი-ივლისი - შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი პროექტების მოხსნის შესახებ;

იენისი-სექტემბერი - კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების წარდგენა საკონკურსო ექსპერტების და/ან ესპერტთა ჯგუფებისათვის; განხილვა, შეფასება, ერთიანი რანჟირებული სიის შედგენა და გამარჯვებულთა გამოვლენა;

სექტემბერი-ოქტომბერი - გამარჯვებული პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

სექტემბერი-ოქტომბერი - კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

სექტემბერი-ოქტომბერი - ახალგაზრდა მეცნიერებთან და მასპინძელ დაწესებულებასთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.“

2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

მანანა მიქაბერიძე

